

შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

სარჩევი:

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება (ხელმოწერილი)	4
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება (ხელმოწერილი)	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება (ხელმოწერილი)	8

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	14
5. ამონაგები	15
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15
7. კომერციული ხარჯები	15
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
9. ფინანსური ხარჯები, წმინდა	16
10. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	16
11. მოგების გადასახადის ხარჯი	16
12. ძირითადი საშუალებები	17
13. საინვესტიციო ქონება	18
14. მარაგები	18
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
16. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
17. სესხები	19
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
19. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები	20

შპს გრადა

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	5	11 742 491	4 461 488
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(5 593 756)	(1 840 478)
საერთო მოგება		6 148 735	2 621 010
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1 196 637)	(1 830 971)
კომერციული ხარჯები	8	(416 310)	216 844
საოპერაციო მოგება		4 535 788	1 006 883
ფინანსური ხარჯები, წმინდა	9	(658 124)	(22 671)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან , წმინდა	10	(509 869)	23 845
მოგება დაბეგვრამდე:		3 367 795	1 008 057
მოგების გადასახადის ხარჯი (შემოსავალი)		(26 838)	-
წლის მოგება/(ზარალი)		3 340 957	1 008 057
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		3 340 957	1 008 057

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დავით ზაუტაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თეა მაჩაიძე

შპს გრადა

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	5	11 742 491	4 461 488
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(5 593 756)	(1 840 478)
საერთო მოგება		6 148 735	2 621 010
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1 196 637)	(1 830 971)
კომერციული ხარჯები	8	(416 310)	216 844
საოპერაციო მოგება		4 535 788	1 006 883
ფინანსური ხარჯები, წმინდა	9	(658 124)	(22 671)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	10	(509 869)	23 845
მოგება დაზღვევამდე		3 367 795	1 008 057
მოგების გადასახადის ხარჯი (შემოსავალი)		(26 838)	-
წლის მოგება/(ზარალი)		3 340 957	1 008 057
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მილიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		3 340 957	1 008 057

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



თ. ჯიშია

დავით ზაუტაშვილი

თვა მამაიძე



შპს გრადა

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	1,774,120	792,249
არამატერიალური აქტივები		144,227	16,674
საინვესტიციო ქონება	13	4,427,831	412,678
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,346,179	1,221,602
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	8,479,793	5,129,854
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	258,618	49,581
გაცემული სესხი	16	58,788	555,835
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	20,914	1,383,006
სულ მიმდინარე აქტივები		8,818,113	7,118,276
სულ აქტივები		15,164,291	8,339,878
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		4,135,580	1,402,960
სულ კაპიტალი		4,135,580	1,402,960
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხი	18	4,270,178	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	973,786	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	19	3,064,878	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,308,843	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	2,222,158	6,846,494
საგადასახადო ვალდებულება		41,480	90,423
გადასახდელი დივიდენდები		456,253	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,719,891	6,936,918
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		15,164,291	8,339,878

დირექტორი

დავით ზაუტაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თეა მაჩაიძე

შპს გრადა

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	1,774,120	792,249
არამატერიალური აქტივები		144,227	16,674
საინვესტიციო ქონება	13	4,427,831	412,678
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,346,179	1,221,602
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	8,479,793	5,129,854
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	258,618	49,581
გაცემული სესხი	16	58,788	555,835
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	20,914	1,383,006
სულ მიმდინარე აქტივები		8,818,113	7,118,276
სულ აქტივები		15,164,291	8,339,878
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		4,135,580	1,402,960
სულ კაპიტალი		4,135,580	1,402,960
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხი	18	4,270,178	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	973,786	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	19	3,064,878	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,308,843	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	2,222,158	6,846,494
საგადასახადო ვალდებულება		41,480	90,423
გადასახდელი დივიდენდები		456,253	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,719,891	6,936,918
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		15,164,291	8,339,878

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი




დავით ზაქტაშვილი

თეა მაჩაიძე



შპს გრადა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	-	1,402,960	1,402,960
დივიდენდი	-	(608,337)	(608,337)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,340,956	3,340,956
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	-	4,135,580	4,135,580

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

დავით ზაუტაშვილი

თეა მაჩაიძე

შპს გრადა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	-	1,402,960	1,402,960
დივიდენდი	-	(608,337)	(608,337)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,340,956	3,340,956
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	-	4,135,580	4,135,580

დირექტორი

მთავარი ხელდალტერი

ა. პიპიაძე

დავით ზაქტაშვილი

თეა მაჩაიძე



შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გრადა“ (შემდგომში - კომპანია) დაფუძნდა 2016 წლის 14 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, არჩილ მეფის ქ. N9. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და რეალიზაცია.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები იყვნენ შემდეგი ფიზიკური პირები:

მფლობელები	წილი %
დავით ზაუტაშვილი	25.00%
დავით მეტივიშვილი	25.00%
გიორგი ბერუაშვილი	25.00%
მაია ბეჟანიშვილი	25.00%

კომპანიის დირექტორებს წარმოადგენენ დავით ზაუტაშვილი და დავით მეტივიშვილი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონის მოთხოვნის შესაბამისი ანგარიშგების წარსადგენად.

შესაბამისად, ეს ფინანსური ინფორმაცია არ განიხილება, როგორც კომპანიის მსს ფასს სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს შემდეგ მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ბინების რეალიზაცია. შემოსავალი ბინების გაყიდვიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

- ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და აღდგენის დანახარჯების

თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები	3-15
სატრანსპორტო საშუალებები	3-5
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	3-5
სხვა	3-5

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 7 წელი.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. კომპანია საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს.

საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვას კომპანია იწყებს მას შემდეგ, რაც აღნიშნული ქონება მზად არის იმ მიზნით გამოსაყენებლად, როგორც ეს თავდაპირველად ჰქონდა ხელმძღვანელობას განსაზღვრული.

საწარმოს ქონება გადაჰყავს საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან მარაგის კატეგორიაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება ქონების გამოყენების მიზანი, რაც საბუთდება გაყიდვის მიზნით ქონების რეკონსტრუქციის დაწყებით. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო გადაწყვეტს საინვესტიციო ქონების გაყიდვას რეკონსტრუქციის გარეშე, იგი ობიექტს კვლავ ასახავს, როგორც საინვესტიციო ქონებას მანამდე, სანამ არ შეწყვეტს მის აღიარებას და არ განიხილავს მას როგორც მარაგს. ანალოგიურად, იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო იწყებს არსებული საინვესტიციო ქონების რეკონსტრუქციას შემდგომში კვლავ საინვესტიციო ქონების სახით გამოყენების მიზნით, ქონება რჩება საინვესტიციო ქონების კატეგორიაში და რეკონსტრუქციის მთელი პერიოდის განმავლობაში არ ხდება მისი რეკლასიფიცირება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების კატეგორიაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვალენის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ამონაგები

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
სხვა	60,483
შემოსავალი ფართის გაყიდვიდან	11,682,008
	11,742,491

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
სხვა	65,130
გაყიდული ფართის თვითღირებულება	5,528,626
	5,593,756

7. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
გაყიდვის ხარჯები	101,949
მარკეტინგის ხარჯები	314,361
	416,310

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
კომუნიკაციის ხარჯი	6,865
კომუნალური მომსახურება	10,422
საკონსულტაციო ხარჯები	21,936
სხვა საგადასახადო ხარჯი	22,924
სხვა ხარჯები	24,349
დაცვისა და უსაფრთხოების ხარჯი	25,446
საბანკო ხარჯი	28,380
წარმომადგენლობითი ხარჯები	32,602
მივლინების ხარჯი	46,924
ძირითადი საშუალებების ცვეთა	46,983
შრომის ანაზღაურება და სხვა განაცემი	929,827
	1,196,637

შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. ფინანსური ხარჯები, წმინდა

ფინანსური ხარჯები, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
არასაოპერაციო ხარჯი:	
საპროცენტო ხარჯი	720,660
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	4,604
სულ არასაოპერაციო ხარჯი	725,263
არასაოპერაციო შემოსავალი	
საპროცენტო შემოსავალი	67,139
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	67,139
არასაოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი, ნეტი	658,124

10. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა

ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
საკურსო სხვაობის ეფექტი	509,869
სულ	509,869

11. მოგების გადასახადის ხარჯი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
31.12.2018	-	289,029	70,002	30,719	28,113	417,864
შემოსვლა	127,027	382,528	-	24,028	8,341	541,925
გასვლა	-	(765)	-	-	(15,561)	(16,325)
01.01.2019	127,027	670,793	70,002	54,748	20,893	943,464
შემოსვლა	-	1,216,113	38,000	31,829	40,039	1,325,981
გასვლა	-	(7,616)	(2,494)	-	-	(10,110)
31.12.2019	127,027	1,879,290	105,509	86,576	60,933	2,259,335
დაგროვილი ცვეთა	-	(23,862)	(7,564)	(5,372)	(10,901)	(47,699)
31.12.2018	(2,575)	(79,187)	(10,676)	(9,801)	(1,276)	(103,515)
ცვეთა	-	-	-	-	-	-
01.01.2019	(2,575)	(103,048)	(18,240)	(15,173)	(12,177)	(151,214)
ცვეთა	(12,703)	(288,142)	(11,726)	(17,284)	(4,147)	(334,001)
31.12.2019	(15,278)	(391,190)	(29,966)	(32,457)	(16,324)	(485,215)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31.12.2018	124,452	567,744	51,762	39,575	8,716	792,249
31.12.2019	111,749	1,488,100	75,542	54,119	44,609	1,774,119

შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს. საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა*	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	412,678	412,678
შემოსვლა	4,015,153	4,015,153
2019 წლის 31 დეკემბერი	4,427,831	4,427,831

*მიწა მოიცავს მომავალში ბიზნესის განვითარებისთვის განკუთვნილ მიწებს, რომელზეც შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, მაგრამ არ არის დეტალური პროექტი კონკრეტულ მშენებლობასთან დაკავშირებით. საწარმოს ქონება გადაჰყავს საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან მარაგის კატეგორიაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება ქონების გამოყენების მიზანი, რაც საბუთდება გაყიდვის მიზნით ქონების რეკონსტრუქციის დაწყებით. ამგვარ მიწებზე შემდგომი რეალიზაციისთვის მშენებლობის დაწყებისთანავე შესაბამისი მიწის ღირებულება გადადის მარაგის კატეგორიაში.

14. მარაგები

კომპანიის მარაგებს წარმოადგენს გასაყიდი ფართები, შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი მშენებარე და დასრულებული ბინები და აღნიშნულ ბინებზე მიკუთვნილი მიწები. მიწები მარაგად აღიარდება მას შემდეგ, რაც მათზე იწყება შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი ობიექტების მშენებლობა. მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
გასაყიდი ფართი	1,416,658	2,021,005
კომპანიის მიერ აშენებული გასაყიდი ფართი	1,416,658	2,021,005
მიმდინარე მშენებლობა	6,579,288	2,626,684
დაუმთავრებელი მშენებლობა	6,579,288	2,626,684
სამშენებლო მასალები	480,838	419,590
სხვა მარაგები	3,010	62,574
სულ	8,479,793	5,129,854

შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	48,618	23,836
სულ ფინანსური მოთხოვნები	48,618	23,836
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	210,000	25,746
სულ არასაფინანსური მოთხოვნები	210,000	25,746
სულ მოთხოვნები	258,618	49,581

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან. კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს მოთხოვნების ნაშთებს შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ასეთის გამოვლენის შემთხვევაში კომპანია ახდენს უიმედო მოთხოვნის ჩამოწერას. შესაბამისად, კომპანიას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს ვადაგადაცილებული და გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნები.

* საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	19,562	359,546
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,351	1,023,460
	20,914	1,383,006

17. სესხები

სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
საქართველოს ბანკის სესხი	4,270,178	-
სულ	4,270,178	-

შპს გრადა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები (მოკლევადიანი)	1,887,457	6,316,494
სავაჭრო ვალდებულებები (გრძელვადიანი)	973,786	-
	2,861,244	6,316,494
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულება დაკავშირებულ მხარეებთან	3,064,878	
გაყიდულ ბინებზე შესასრულებელი ვალდებულება	334,701	530,000
სულ არაფინანსური ვალდებულებები	3,399,579	530,000
სულ ვალდებულებები	6,260,823	6,846,494

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

19. წინა პერიოდის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას და ინდივიდუალურ სრულ შემოსავალს

წინა პერიოდის კორექტირებების გასწორების ეფექტი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება	თანხა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	-	-	412,678	412,678
ძირითადი საშუალებები	729,478	79,446		808,924
მიმდინარე აქტივები				-
მარაგები	5,750,442	(207,910)	(412,678)	5,129,854
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,880	24,556		49,436
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	7,282	(7,282)		-
საკუთარი კაპიტალი				-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	1,367,914	35,046		1,402,960
მიმდინარე ვალდებულებები				-
საგადასახადო ვალდებულებები	90,507	(81)		90,426
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,992,649	(146,155)	-	6,846,494